

# ქართული, როგორც მეორე ენა

## ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

გაითვალისწინეთ, რომ გამოცდა ხუთი ნაწილისაგან (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, პროფესიული ცოდნა) შედგება და წარმატების მისაღწევად საჭიროა ბარიერის გადალახვა ხუთივე ნაწილში.

ასევე აუცილებელია ბარიერის გადალახვა მთლიან ტესტშიც.

ყურადღებით გაეცანით თითოეული დავალების პირობას!

პასუხების ფურცელზე ამა თუ იმ დავალების გადატანის წესი თან ახლავს ყოველ დავალებას.

გამოცდის მაქსიმალური ქულაა 95, ხოლო ამ ტესტში მოცემული დავალებებისა – 84.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



## I. მოსმენა (11 ქულა)

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი. ტექსტს მოისმენთ ორჯერ.

ყოველი კითხვის ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ **მხოლოდ ერთი**.

**ტექსტის ჩანაწერის მოსმენამდე დავალების გასაცნობად გეძლევათ 45 წამი.**

პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) **1. თანამედროვე განათლების სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ:**

- ა) განათლების სისტემის მოთხოვნები არ შეცვლილა.
- ბ) კრიტიკულ აზროვნებას დღეს სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება.
- გ) კრიტიკულ აზროვნებას პირველად XXI ს-ში მიექცა ყურადღება.
- დ) მოსწავლეს იშვიათად უწევს არჩევანის დამოუკიდებლად გაკეთება.

(1) **2. რა არის თანამედროვე განათლების სისტემის უპირველესი მოთხოვნა?**

- ა) აღიარებული მოსაზრებების დასწავლა.
- ბ) დასახული ამოცანის გაცნობიერება და გააზრება.
- გ) რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის დამახსოვრება.
- დ) სახელმძღვანელოს ტექსტების აღქმა და დაზეპირება.

(1) **3. ბოლო დრომდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა იმას, თუ მოსწავლეები:**

- ა) როგორ აღიქვამენ სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტებს.
- ბ) როგორ იმახსოვრებენ მასწავლებლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.
- გ) როგორ იყენებენ მიღებულ ცოდნას სხვადასხვა კონტექსტში.
- დ) როგორ სწავლობენ საყოველთაოდ გაზიარებულ მოსაზრებებს.

(1) **4. კრიტიკული აზროვნების დროს მთავარია:**

- ა) ანალიზისა და შეფასების უნარი.
- ბ) ინფორმაციის დამახსოვრების უნარი.
- გ) სხვების მოსმენის უნარი.
- დ) ტექსტის ათვისების უნარი.

(1) **5. მოსწავლე კრიტიკულად აზროვნებს მხოლოდ მაშინ, როცა:**

- ა) ადვილად შეუძლია ინფორმაციის დამახსოვრება.
- ბ) განსაკუთრებით აინტერესებს წამოჭრილი პრობლემა.
- გ) დამოუკიდებლად აყალიბებს თავის შეხედულებებს.
- დ) ზედმიწევნით ასრულებს მასწავლებლის მითითებებს.

(1) **6. ქალბატონი თამარ ჯანაშიას აზრით, კრიტიკული აზროვნების დროს:**

- ა) არ არის აუცილებელი ადამიანი ორიგინალური იყოს.
- ბ) აუცილებელია ადამიანი ორიგინალური იყოს.
- გ) მოსწავლე არ უნდა იზიარებდეს სხვების შეხედულებებს.
- დ) მოსწავლე აუცილებლად უნდა იზიარებდეს სხვების შეხედულებებს.

(1) **7. ქალბატონ თამარ ჯანაშიას მიაჩნია, რომ:**

- ა) კრიტიკულ აზროვნებას მოსწავლეებს მასწავლებელი ვერ განუვითარებს.
- ბ) კრიტიკული აზროვნება მოსწავლეების თანდაყოლილი უნარია.
- გ) კრიტიკული აზროვნების განვითარებაში მოსწავლეებს ვერავინ დაეხმარება.
- დ) კრიტიკული აზროვნების განვითარებაში მოსწავლეებს პედაგოგი უნდა დაეხმაროს.

(1) **8. მოსწავლეს კრიტიკული აზროვნების განვითარებაში მეტად დაეხმარება ის, ვინც:**

- ა) მრავალმხრივ განიხილავს იმ თემას, რომელზეც საუბრობს.
- ბ) ნაკლებ ყურადღებას აქცევს განსხვავებული თვალსაზრისების განხილვას.
- გ) საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრებების გაზიარებას მოითხოვს.
- დ) უპირატესობას ინფორმაციის დამახსოვრებას ანიჭებს.

(1) **9. კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობას არ წარმოადგენს:**

- ა) დისკუსიების გამართვა.
- ბ) პროექტების მომზადება.
- გ) როლური თამაშები.
- დ) ტექსტის დასწავლა.

(1) **10. ქალბატონი თამარ ჯანაშიას აზრით, კრიტიკული აზროვნების განვითარება:**

- ა) აუცილებელია სწავლების ყველა საფეხურზე.
- ბ) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლამდელ ასაკში.
- გ) სტუდენტობის პერიოდში უკვე ვეღარ ხერხდება.
- დ) შეუძლებელია სწავლების საწყის საფეხურზე.

(1) **11. ვისაც განვითარებული აქვს კრიტიკული აზროვნება:**

- ა) ის ყოველთვის კმაყოფილდება სხვისი მოსაზრების გამეორებით.
- ბ) ის ხშირად იცვლის პოზიციას სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.
- გ) მას არ გაუჭირდება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება.
- დ) მას აღარ შეუძლია სხვისი პოზიციის გაზიარება.

## II. კითხვა (28 ქულა)

(10) ყურადღებით წაიკითხეთ ერთ-ერთი თავი ნოდარ დუმბაძის რომანიდან „მე ვხედავ მზეს“:

ორმოცდასამი წლის ივნისია ახლა. გახურებული ბანაობის, ფეხბურთის, ლელოს, ლახტის, ჩილიკა ჯოხის, გრძელი ვირის, ჭიდაობისა და ჯარობის დრო. სკოლიდან დიდი ხანია დაგვითხოვეს, მაგრამ სადაა ლახტი, სადაა ფეხბურთი, ველარ იცნობ ჩემს ბიჭებს.

- ბონდოია კუნცხურია, წამოდი, ბიჭო, ლახტი გავახუროთ!
- გაგიჟდი, ბიჭო, ყანა მაქვს სამარგლავი!
- ნოდარა თავა, გვეთამაშა ფეხბურთი!
- არ მცალია, შეშა უნდა დავხეთქო!
- ოტია, გამოიყვანე შენი სახლიკაცები და ვიჭიდაოთ საირაოზე!
- ჭიდაობა კი არა, ძლივს დავდივარ, სოსოია.

ვიცოდით ყველამ, კარგად ვიცოდით, რომ ბურთი არ იყო, ვიცოდით, რომ არც ერთს არ გვეცალა ერთმანეთისათვის, არც ერთს არ გვებურთავებოდა, არც გვეჭიდავებოდა, მაგრამ მაინც ყოველდღე ვიწვევდით სათამაშოდ ერთმანეთს, მაინც ყოველდღე ვეხვეწებოდით ერთმანეთს, ერთი საათით გადაგვედო საქმე როგორმე, რომ ის დაკარგული დღეები დაგვებრუნებინა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. იყო შემთხვევა, შევიკრიბებოდით ხოლმე, გავიყოფოდით, ბურთს ავაგდებდით და მერე უცებ ხან ერთს გაახსენდებოდა რაღაც, ხან მეორეს, ხან მესამეს, ვმეჩხერდებოდით, ვმეჩხერდებოდით და ვტოვებდით გადახვნას სასწაულით გადარჩენილ მოედანს.

სულ სხვანაირად ვხედავდით ახლა სოფელს და სოფელიც სხვა თვალთა გვიყურებდა.

ერთ დილით მეზობლის ქალი მაკა მოვიდა მამიდასთან და სთხოვა:

- ნადი მყავს, ჩემო ქეთევან, და დამახმარე შენი კაცი!

კითხვებზე გადასვლა: 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21.

– წაყევი, მამიდა, – მითხრა მამიდამ და მე წაყევი მაკას, როგორც კაცი. როგორც კაცმა, ისე ვიმუშავე სალამომდე მაკასთან. კაცივით ვსვი ღვინო, დავთვერი და კაცივით დავახველე ჭიმკართან, როდესაც შინ დავბრუნდი, და ვიგრძენი, როგორ კაცივით მომიარა მამიდამ იმ ღამით და ზუსტად ისე დამითბილა ფეხები ძილის წინ, როგორც სამუშაოდან დაბრუნებულ და დაღლილ ბაბუას უთბილებდა ხოლმე ბებია.

ორმოცდასამი წლის ივნისის თბილი სალამო იყო. მამიდამ კოდი გადმოაპირქვავა გობზე, გვერდებზე ხელი მოუპარტყუნა და ასწია. გობზე ორი პეშვი ფქვილი ეყარა. მამიდამ ცხელი წყალი დაასხა ზედ და ცალი ხელით ზანტად დაუწყო ზელა, თავჩალუნული იჯდა გობთან და გაუთავებლად დიდხანს ზელდა ფქვილს, რომელიც თვალეებში შესაყრელად არ ეყოფოდა კაცს. მე დავინახე უცებ, როგორ დაეცა გობზე ჯერ ერთი, შემდეგ მეორე კურცხალი...

– რა გატირებს, მამიდა? – ვკითხე, თუმცა მშვენივრად ვიცოდი, რა ატირებდა.

– ესაა, სოსოია, მეტი არ არის, – თქვა მან და ხელისგულით მაჩვენა ცომი.

ხმა არ ამომიღია. მამიდამ თითები ჯიქანივით ჩაწურა გობში და მომიბრუნდა:

– თქვი რამე, სოსო, ბიჭო, რა ვქნათ?

– ქეთო მასწავლებელო! – დაიძახა ეზოში ხატია.

– მოდი, ხატია! – გავძახე მე. ხატია სამზარეულოში შემოვიდა.

– გამარჯობა თქვენი!

– გაგიმარჯოს, ხატია, – თქვა მამიდამ. სამფეხა დავუდგი ხატიას და დავსვი. მერე ოდაში ავედი და უკანა ოთახში შევედი. დიდხანს ვიჯექი საოჯახო სკივრთან. მერე მოვკიდე ხელი და გაჭირვებით გამოვათრიე გარეთ. სამზარეულოში რომ შევიტანე, მამიდა გაკვირვებისაგან ფეხზე წამოდგა.

– რა არის, ბიჭო, ეს? – მკითხა მან.

– ამაში მამაჩემის და დედაჩემის ტანსაცმელი აწყვია!

– მერე?

კითხვებზე გადასვლა: 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21.

- მერე, უნდა გავყიდოთ აგი!
- გაგიჟდი, ბიჭო? – შეემინდა მამიდას.
- წავიღებ ამას და ნაბელლაგში სიმინდზე გადავცვლი.
- ხატია გეყურება, რას ამბობს? – ჰკითხა მამიდამ ხატიას.
- მეყურება! – თქვა ხატიამ და თავი დააქნია.
- ამას ნაბელლაგში წავიღებ და სიმინდზე გადავცვლი. აბა, ასე ხომ არ ვიქნებით?
- სოსოია, წაილე და დადგი იქ, საიდანაც ჩამოიტანე, – თქვა მამიდამ და ხმა ჩაუწყდა.

სკივრს თავი ავხადე და ყელში რაღაც გამეჩხირა. მერე სკივრში ხელი ჩავყავი და მამაჩემის ტყავის ქურქი ამოვიღე. ყოველ ზაფხულს ამომქონდა სკივრიდან გასამზეურებლად, მაგრამ არასდროს შორეული, ძალიან შორეული სიყვარულისა და მოკრძალების მეტი არაფერი მიგრძენია ამ ქურქის მიმართ, ახლა კი შემემინდა, ისე შემემინდა ქურქის, თითქოს ცოცხალ კაცს ძალით ვხდიდი და ისიც მორჩილად და მშვიდად მატანდა.

- ამასაც წავიღებ, ამასაც, გესმის შენ? პატარა აღარა ვარ და ჰკუას ნუ მასწავლი! – ვიყვირე და ტუჩები ამიკანკალდა.
- ნუ იზამ, სოსოია მამიდა, მაგას! – მთხოვა მამიდამ.

– წავიღებ, წავიღებ, იტირე რამდენიც გინდა, ამ ჩექმასაც წავიღებ, ამ შარვალსაც, ამ ხალათსაც! – ვყვიროდი და სკივრიდან ვყრიდი ტანსაცმელს. უცებ ხმა ჩამიწყდა... ხალათის ქვევით ორად გაკეცილი ვარდისფერი კაბა იდო. უხმოდ ამოვიღე, გავშალე, მერე ისევ დავკეციე, თავის ადგილზე დავდე, ზევიდან მამის შარვალ-ხალათი დავაფინე და სკივრი დავხურე.

– ჩექმას და ქურქს წავიღებ, მამიდა, მეტს არაფერს, შენ ნუ ტირი. მანასე თავართქილაძის ვირს წავიყვან და ნაბელლაგში წავიღებ სიმინდზე გადასაცვლელად.

- მამიდა ხმას არ იღებდა.
- ხვალვე წავალ!
- მეც გამოგყვები! – თქვა ხატიამ და ადგა.



უპასუხეთ მოცემულ კითხვებს. პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ **მხოლოდ ერთი**.  
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) **12.როგორი ამბის მოსასმენად განაწყოფს მკითხველს პირველი აბზაცი?**

ა) კომიკური.

ბ) სახალისო.

გ) სევდიანი.

დ) უჩვეულო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **13. რას გულისხმობს მთხრობელი „დაკარგულ დღეებში“?**

ა) ბურთის თამაშში გატარებულ დღეებს.

ბ) საოჯახო საქმეებით დატვირთულ დღეებს.

გ) სკოლის გარეთ გატარებულ დღეებს.

დ) უსაქმოდ გატარებულ დღეებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **14. რას გამოხატავს მთხრობლის ფრაზა: „სოფელიც სხვა თვალით გვიყურებდა“?**

ა) თანასოფლელები ზრუნავდნენ ბავშვებზე, რომლებსაც გართობა ენატრებოდათ.

ბ) თანასოფლელები პატივისცემით განეწყვნენ ნაადრევად დაკაცებული ბავშვების მიმართ.

გ) თანასოფლელებს არ მოსწონდათ, რომ ბავშვებს სულ გართობისაკენ ეჭირათ თვალი.

დ) თანასოფლელებს უხაროდათ, რომ ბავშვები უფროსების საქმეს აკეთებდნენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **15.** „თავჩალუნული იჯდა გობთან და გაუთავებლად დიდხანს ზელდა ფქვილს“ მიგვანიშნებს, რომ ქეთო:

ა) გონებადაფანტული ქალია.

ბ) მეტისმეტადაა დაუძღურებული.

გ) რაღაცის გახსენებას ცდილობს.

დ) სასოწარკვეთილია უსახსრობის გამო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 16. რატომ განიცდის ქეთო, რომ სოსომ ტანსაცმლის გაყიდვა გადაწყვიტა?

- ა) ეს ტანსაცმელი ოჯახისათვის მეტად საჭიროა.
- ბ) ეს ტანსაცმელი ოჯახის რელიკვიადაა ქცეული.
- გ) სოსო ასეთი საქმეებისათვის ძალიან პატარაა.
- დ) სოსო ასეთ საქმეებში ძალიან გამოუცდელია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე  
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე  
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 17. მამიდის თხოვნის მიუხედავად, რატომ მიაქვს სოსოს ჩექმა და ქურქი გასაყიდად?

ა) არ სურს თავისი გადაწყვეტილების შეცვლა.

ბ) მამიდას უმტკიცებს, რომ უკვე დიდია.

გ) სხვა გამოსავალი არ დარჩენია.

დ) ტანსაცმელს სხვა ვერაფერში გამოიყენებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **18. რა ჩანს სოსოს სიტყვებში:** „წავიღებ, წავიღებ, იტირე რამდენიც გინდა, ამ ჩექმასაც წავიღებ, ამ შარვალსაც, ამ ხალათსაც!“

ა) გულგრილობა.

ბ) დაბნეულობა.

გ) დაცინვა.

დ) სასოწარკვეთა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე



(1) 19. რომელია დიალექტური მეტყველების ნიმუში?

- ა) „გობზე ორი პეშვი ფქვილი ეყარა“.
- ბ) „ყელში რაღაც გამეჩხირა“.
- გ) „წამოდი, ბიჭო, ლახტი გავახუროთ!“
- დ) „ხატია, გეყურება, რას ამბობს?“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე  
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე  
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **20. რომელია ტროპული მეტყველების ნიმუში?**

- ა) „მამიდამ თითები ჯიქანივით ჩაწურა გობში და მომიბრუნდა“.
- ბ) „ორმოცდასამი წლის ივნისის თბილი საღამო იყო“.
- გ) „უხმოდ ამოვიღე, გავშალე, მერე ისევ დავკეცი“.
- დ) „ხალათის ქვევით ორად გაკეცილი ვარდისფერი კაბა იდო“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **21. მოყვანილ მონაკვეთში არაფერია ნათქვამი:**

- ა) ახალგაზრდების მიერ გამოჩენილი გმირობის შესახებ.
- ბ) ბავშვობადაკარგული ყმაწვილების რთული ცხოვრების შესახებ.
- გ) ომისდროინდელი სოფლის მძიმე ყოფის შესახებ.
- დ) უკიდურესი გაჭირვებით გამოწვეული განცდების შესახებ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(8) 22. ტექსტიდან ამოღებულია 8 წინადადება. აღადგინეთ ტექსტი ქვემოთ მოცემული წინადადებების მეშვეობით. გაითვალისწინეთ, 4 წინადადება ზედმეტია.

### არქივი

საარქივო საქმე კაცობრიობის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მხარეა. (1) -----. იგი საგანძურია, რომელშიც ისტორიული დოკუმენტების სახით ინახება საუკუნეების განმავლობაში ადამიანთა მიერ დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება. თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში არქივი და საარქივო საქმე სახელმწიფოებრივი მშენებლობის მნიშვნელოვან დარგადაა მიჩნეული.

„არქივი“ ლათინური სიტყვაა. (2) -----. ეტიმოლოგიურად იგი უკავშირდება ბერძნულ „არხეიონს“. ასე ერქვა ადგილს, სადაც იმყოფებოდა ხელისუფლება. (3) -----. მისი წარმოშობა განაპირობა წერილობითი დოკუმენტების გაჩენამ და მათი შენახვა-დაცვის აუცილებლობამ.

ძველ საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ხელნაწერებს ინახავდნენ და იცავდნენ მათი შემქმნელები. (4) -----. ხელისუფლებას საშინაო და საგარეო ურთიერთობებისათვის გარკვეული იურიდიული ნორმები და მათი ამსახველი დოკუმენტები, საკანონმდებლო აქტები, ხელშეკრულებები, სიგელები, დიპლომატიური წერილები ჰქონდა. (5) -----. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა არქივი.

უძველესი ქართული არქივების შესახებ მოღწეული ცნობებით დასტურდება, რომ VI საუკუნეში არსებობდა სამეფო არქივი, რომელიც, განძთსაცავის გარდა, ასრულებდა საბუთების საცავის დანიშნულებასაც. (6) -----. თანამედროვე არქივს საქართველოში საფუძველი ჩაეყარა 1920 წლის 23 აპრილს მთავრობის მიერ მიღებული კანონით „რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების შესახებ“.

ეროვნული არქივი ამჟამად საქართველოს დოკუმენტური მემკვიდრეების ყველაზე დიდი საცავია. (7) -----. მათ შორისაა 500000-ამდე ფოტო და 40000-ამდე კინოდოკუმენტი. (8) -----. დღეისათვის არქივი უზრუნველყოფს საარქივო საქმის მართვას, საქმის წარმოების სრულყოფასა და ეროვნული ფონდის განვითარებას. იგი ემსახურება ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მეცნიერულ და კულტურულ ინტერესებს და, როგორც ერის დოკუმენტური მემკვიდრეობა, მნიშვნელოვანი ინსტიტუციაა.

## გამოტოვებული წინადადებები:

- ა) ამას გარდა, აქვეა დაცული 80000 წიგნი და 50000-ამდე პერიოდული გამოცემა.
- ბ) ამ ყველაფერს თავმოყრა, შენახვა და დაცვა სჭირდებოდა.
- გ) დღესდღეობით აქ მილიონამდე წერილობითი დოკუმენტი ინახება.
- დ) ესენი იყვნენ საერო და სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენლები.
- ე) ეს სიტყვა პირველად ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში გვხვდება და ნიშნავს ადგილს, სადაც ინახება სახელმწიფოებრივი აქტები.
- ვ) ის, როგორც ერის დოკუმენტური მემკვიდრეობა, ქვეყნის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.
- ზ) მნიშვნელოვანია განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტების გამოვლენა.
- თ) სამეფო არქივის პარალელურად, არსებობდა საეკლესიო და კერძო არქივები.
- ი) საქართველოს უძველესი პერიოდის არქივების შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება.
- კ) შემდგომში კი არქივი ეწოდა ოფიციალური საბუთების შესანახ დაწესებულებას.
- ლ) ცენტრალური არქივის მიზანი კი 1921 წლის შემდეგ შექმნილი დოკუმენტებით ეროვნული საარქივო ფონდის შევსებაა.
- მ) ძველი დოკუმენტების ციფრული ასლების შექმნას კვალიფიციური სპეციალისტები უძღვებიან.

ამ დავალების პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად: 22-ე ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში ყოველი წინადადების რიგით ნომერს შეუსაბამეთ იმ წინადადების აღმნიშვნელი ასო, რომელიც, თქვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაშია გამოტოვებული და გადამკვეთ უჯრედში ჩასვით **X** ნიშანი.

- (10) 23. წაიკითხეთ ტექსტი და გაარკვიეთ, ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი შეესაბამება ტექსტის შინაარსს და რომელი – არა. თუ წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს, მიუთითეთ იმ აბზაცის ნომერი, რომელიც თქვენი პასუხის დამადასტურებელ ინფორმაციას შეიცავს (გაითვალისწინეთ, თუ აბზაცის ნომერი სწორად არ იქნება მითითებული, შესაბამისი პასუხი არასწორად ჩაგეთვლება. ნიმუში მოცემულია).
- არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

### დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია და სასწავლო პროცესი

1. დიდი ქართველი მეცნიერი დიმიტრი უზნაძე სწავლობდა ადამიანის ქცევის საკითხს. მას აინტერესებდა მიეგნო იმ მექანიზმისათვის, რომელსაც ინდივიდი იყენებს საკუთარი მიზნის მისაღწევად. მისი აზრით, როცა ნებისმიერი ინდივიდი რაიმეს გაკეთებას ცდილობს, უნდა არსებობდეს რაღაც, რაც ამას უზრუნველყოფს.
2. გარკვეული ძიების შემდეგ უზნაძემ მიაგნო ასეთ ფსიქიკურ მექანიზმს და მას განწყობა უწოდა. განწყობა არის ადამიანის მდგომარეობა, რომელიც გამოხატავს მის მზადყოფნას კონკრეტული ქცევის შესასრულებლად. უზნაძის მიხედვით, ნებისმიერ ქცევას აუცილებლად წინ უსწრებს შესაბამისი განწყობის გაჩენა. ამის გარეშე ადამიანი ვერაფერს გააკეთებს, რადგან ყველა ქცევას სწორედ განწყობა ამოძრავებს და აძლევს მიმართულებას.

3. რა განსაზღვრავს ქცევას? პირველი, ესაა მოთხოვნილება, რომელიც სუბიექტური, მაგრამ არასაკმარისი ფაქტორია ქცევის შესასრულებლად. თუ ადამიანს რაიმე მოთხოვნილება აქვს, ის სათანადო სიტუაციას ეძებს მის დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, სიტუაცია, გარემო წარმოადგენს მეორე აუცილებელ ობიექტურ ფაქტორს ქცევის განხორციელებისათვის. მოთხოვნილებისა და სიტუაციის თანხვედრის შედეგად პიროვნებას უჩნდება განწყობა, რომელიც ამზადებს მას გარკვეული ქმედების შესასრულებლად.
4. ამ ყველაფრის ცოდნა მასწავლებლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს დაეხმარება გაკვეთილის წარმატებით ჩატარებაში. მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩასართავად სჭირდება განსაკუთრებული მზადყოფნა, განწყობა. პედაგოგმა მოსწავლეს მის ძალებზე გათვლილი სასწავლო აქტივობები უნდა შესთავაზოს. სასწავლო პროცესი იმისაკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ბავშვს ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა) ცოდნის წყურვილში გადაეზარდოს.
5. სასურველია სწავლის პროცესში უზნაძის თეორიის სათანადოდ გამოყენება. მასწავლებელმა ამისათვის უნდა შექმნას მოსწავლის სწავლაზე ორიენტირებული საკლასო გარემო; მოარგოს მასალა ბავშვს ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით; შეუქმნას მას სწავლის განწყობა.
6. სასწავლო პროცესის ეფექტიანობა, პირველ რიგში, სწავლისადმი დადებითი განწყობის შექმნას გულისხმობს, ანუ პიროვნულ მზაობას, რომელიც განსაზღვრავს რაიმე აქტივობაში მოსწავლის სრულად ჩართვას. თუ რომელიმე აქტივობის მიმართ (დისკუსია, ახალი ტიპის ტესტებზე მუშაობა და სხვ.) მოსწავლეს დადებით ემოციურ დამოკიდებულებას შევუქმნით, შედეგი აუცილებლად პოზიტიური იქნება. უნდა გვახსოვდეს, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, უმთავრესად, მისი ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ბავშვის განვითარება სწორედ ამ ფაქტორებზეა დაფუძნებული და სასწავლო პროცესში ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

წინადადების N	წინადადებები	დიახ	არა	აზნაფის N
0.	ადამიანის ქცევის, უპირველესად, განსაზღვრავს კონკრეტული სურვილი, მოთხოვნილება.	X		3
1.	არსებობს ფსიქიკური მექანიზმი, რომელიც ხელს უშლის ადამიანს რაიმე მიზნის მიღწევაში.			
2.	ბავშვის განვითარება დამოკიდებულია როგორც მის ინტერესებზე, ასევე სურვილებზე.			
3.	განწყობის თეორიის ცოდნა ხელს უწყობს პედაგოგს შესთავაზოს მოსწავლეებს მხოლოდ ის აქტივობები, რომლებიც სასწავლო პროგრამითაა განსაზღვრული.			
4.	დიმიტრი უზნაძის კვლევის საგანი ადამიანის ქცევის მექანიზმის შესწავლა იყო.			
5.	თუ არსებობს რაიმე მოთხოვნილება, იწყება შესაფერისი ვითარების ძებნაც მისი დაკმაყოფილებისათვის.			
6.	თუ რომელიმე აქტივობის მიმართ მოსწავლეს დადებითი დამოკიდებულება გაუჩნდება, ეს სულ არ ნიშნავს იმას, რომ შედეგი აუცილებლად მიღწეული იქნება.			
7.	ნებისმიერი ქცევის შესასრულებლად საკმარისია იყოს შესაბამისი სიტუაცია.			
8.	საგაკვეთილო პროცესში უზნაძის თეორიის დანერგვა შეუძლებელია, რადგან წარმოუდგენელია შეიქმნას თითოეულ ბავშვზე ორიენტირებული საკლასო გარემო.			
9.	ფსიქიკურ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს ქცევის განხორციელებას, „განწყობა“ დიმიტრი უზნაძემ უწოდა.			
10.	ცნობისმოყვარეობის გადაზრდა ცოდნის წყურვილში – აი, რა მიზანი უნდა ჰქონდეს სასწავლო პროცესს.			

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე  
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე



### III. წერა (20 ქულა)

24. არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ქვემოთ მოცემულ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

თუ სასწავლო პროგრამა ან მეთოდი ევროპასა და ამერიკაშია აპრობირებული, ის ჩვენთანაც წარმატებით დაინერგება.

*N 24 ანუ წერითი დავალების შესასრულებლად პასუხების ფურცელზე ერთი გვერდია დატოვებული. იმყოფინეთ გამოყოფილი ადგილი!*

*ისევე, როგორც ყველა სხვა დავალებისათვის, წერითი დავალებისათვისაც შავი ვარიანტის დასაწერად შეგიძლიათ ცარიელი ფურცლები გამოიყენოთ.*

*არ დაგავიწყდეთ ნაშრომის გადატანა პასუხების ფურცელზე!*

## IV. პროფესიული ცოდნა (25 ქულა)

- (10) 25. ტექსტში დაშვებულია ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომები (სტრიქონში არაუმეტეს ერთისა). ზოგ სტრიქონში დაშვებულია შეცდომა, ზოგში – არა. სტრიქონების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე დაწერეთ სწორი ფორმები. თუ სტრიქონში შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა – ✓ (ნიმუში მოცემულია).  
არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

ტექსტი	სწორი ვარიანტები
<p>ქართლის ანუ იბერიის სამეფო ჩამოყალიბდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-III საუკუნის მიჯნაზე. მისი პირველი მეფე იყო ფარნავაზი, რომელმაც 65 წლის განმავლობაში მართა სამეფო და არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა. ფარნავაზმა ქართლი ადმინისტრაციულ ერთეულებად დაჰყო, რომელთა სათავეშიც იდგნენ მეფის მოხელეები – ერისთავები, შიდა ქართლს კი სპასპეტი მართავდა. მემატიანის ცნობით, მის მეფობის პერიოდს უკავშირდება ქართული დამწერლობის შექმნაც. ფარნავაზმა შემოიღო არმაზის კულტი. ეს იყო უზენაესი ღვთაება, მეომარი ღმერთი, ცის, ჭექაქუხილის, წვიმისა და მცენარეთა მბრძანებელი. სპილენძიდან ჩამოსხმული არმაზის ქანდაკება მცხეთის მოპირდაპირე მთაზე იყო აღმართული. კერპს ოქროს მუზარადი ამშვენებდა. მის პატივსაცემად მცხეთის საგანგებოთ მორთულ ქუჩებში ზაფხულობით იმართებოდა ზეიმი, სადაც მონაწილეობას სამეფო ოჯახის წევრებიც იღებდენ. არმაზის კულტი გაუქმდა მას შემდეგ, რაც ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ეს მოხდა IV საუკუნის 30-ან წლებში.</p>	<p>00. ---- საუკუნეების ----  0. ----- ✓ -----  1. -----  2. -----  3. -----  4. -----  5. -----  6. -----  7. -----  8. -----  9. -----  10. -----</p>

*NN 26-37 დავალებების პასუხები უნდა დაწეროთ პასუხების ფურცელზე მხოლოდ ამ დავალებების ნომრების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე.*

*იმყოფინეთ გამოყოფილი ადგილები (შავი სამუშაოს შესასრულებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ცარიელი ფურცლები). არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!*

*გაითვალისწინეთ, NN 26-35 დავალებების პასუხები დადებითად არ შეფასდება, თუ მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომას გაასწორებთ და არ დაწერთ დავალების პირობის შესაბამის განმარტებას.*

- (1) **26. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** *სტუმარმა ჩვენთან საუბარი თავისი საკუთარი გამოცდილების გაზიარებით დაიწყო. განუმარტეთ მოსწავლეს, რა ხარვეზი აქვს ამ წინადადებას.*
- (1) **27. მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რატომ იწერება „დედა-შვილი“ დეფისით, ხოლო „დედაშვილობა“ – უდეფისოდ? განუმარტეთ მოსწავლეს ეს საკითხი.*
- (1) **28. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** *ჯერ ყურადღებით ვისმენ ფრაზას უცხოურ ენაზე, შემდეგ იგივეს რამდენჯერმე ვიმეორებ. განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.*
- (1) **29. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** *გუშინ თემურიმ თავის პირველ კონცერტზე დამპატიჟა. განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.*

- (1) **30. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** მხატვარი ირაკლი ოჩიაურის შემოქმედება ძალიან საინტერესოა.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- (1) **31. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** მამამ ბავშვებს დახმარება შეთავაზა.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- (1) **32. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** ქარმა მწიფე ვაშლები ჩამოაგდო.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- (1) **33. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** და და ძმამ მშობლები სიურპრიზით გაახარეს.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- (1) **34. მოსწავლემ წაიკითხა წინადადება:** მეგობრებო, დროულად მიიღეთ გადაწყვეტილება!  
წინადადების განხილვისას მან აღნიშნა, რომ „მეგობრებო“ ქვემდებარეა.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რატომ არის ეს პასუხი არასწორი.
- (1) **35. გაარკვიეთ, რა შეცდომაა დაშვებული წინადადებაში:** ხომ მითხარი, ყველაფერი ძველებურად იქნება-თქო.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა შეცდომა დაუშვა მან.

(3) **36. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** გუნდი, რომელიც შეჯიბრებაში მონაწილეობდა, დიდი გამოცდილება მიიღო.

ა) გაუსწორეთ მოსწავლეს შეცდომა.

ბ) რა ტიპის შეცდომაა დაშვებული მოცემულ წინადადებაში?

გ) განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **37. იმსჯელეთ, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურიდან რომელი უცხოელი მწერლის ნაწარმოებს შესთავაზებდით თქვენს მოსწავლეებს წასაკითხად და რატომ.**